

ჩიბუ 23.13


№ 3 (—240) ფასი 10 კპ.
 კვირა, 19 იანვარი, 1930 წ.
 წელიწადი მეშვიდე



მ ც ნ ე ბ ა ღ ა...

(იხ. 16 გვერ.)

12 544



ბერლინის ეწვეენ სივალასხვა ყალთაბანდობის სპეცეები, სტურდათ მოეწყოთ თავდასხმა მათ ყალბი ჩერვონეცებით ოცებით ვადმოდიოდენ მუხთაღნი საბჭოთ მხარეში, რომ ძველებურად მოეწყოთ მუხანათური თარეში.

ტარტაროზის არქივიდან

ი. ს. მ. მ. მ.

როცა ტარტაროზი გადაცილებით აღდგენდა თვალ-ყურს ქართველი ემიგრანტების ცხოვრებას. მისი წინადადებით ჩვენმა რედაქციამ სპეციალური საქმეც კი შეადგინა ემიგრაციის შესახებ, რომელშიაც სარტყრესო დოკუმენტებია ჩაყრებული ქართველი ემიგრანტების უფა-ცხოვრებიდან, მათი პოლიტიკური ავიანტირების, მათი უხალხო და უტერიტორიო მთავრობის „მოღვაწეობის“ და სხვა და სხვა.

ბანწლო მ. მ. მ.

და ტარტაროზს ერთხელაც არ განსენებია ქართველი ემიგრანტების ბედ-იბაღი.

— რა საჭიროა, განა ღირს მათზე ლაპარაკი? — იტყოდა ხოლმე ის, როცა ჩვენთან განი ჩამოვადგებდა მათზე ლაპარაკს. მისი განკარგულებით საქმე ემიგრაციაზე გადაეცა ჩვენი ჟურნალის არქივს.

ამ დღეებში ყალბი ჩერვონცების პროცესის გამო ტარტაროზმა უკანვე გამოითხოვა ზემოხსენებული საქმე და დამავილა — შ. ქა ჩრუმიძის წერილის მონახვა, რომელიც მას მიუწერია იმ განსვენებულ პარიტეტულ კომიტეტისათვის, დავალება შეეცარულე და წერილი გადაეცეცა მას, რომლის შინაარსს ტარტაროზის ნებართვით აქვე ვაქვეცნებ. წერილი იწყება ასე:

— პირველყოფლისა ქართველი ემიგრანტების სახელით მიიღეთ ჩემგან კონტრ-რევოლუციონური საღამო, ჩვენს ამბავს ცხადია იცითაგეთ, ჩვენი საქმე არც ისე ცუდათ არის, ბევრს რომ ჰგონია. ალბათ ბოლშევიკები ავრცელებენ ჩვენზე კორტებს. ღვთის წყალობით ყველა ჩვენგანი საქმეში მოეწყო. შიმშილით გამოგვაკლდა მხოლოდ რამდენიმე.

მართალია ყველა ერთნაირათ არ ვცხოვრობთ. ზოგი რას აკეთებს და ზოგი რას რეხორანებში ჩვენიანებს ბევრს შეხვდებით, რომლებსაც ხელში თევზები უკავიათ. ფეხსაცმელების მწუმენდავებიც გვაუვას...

ჩვენ კი — რჩეული: პრეზიდენტი ნოე, ხაჭარია და ხაშინაო მინისტრი ნოე, ჩვენი კაკო, მე და კიდევ სხვები ვაკეთებთ და ვაქაზრაკებთ დიდ საქმეებს საერთაშორისო მასშტაბით.

ჩვენი მთავრობა პრეზიდენტი ნოე უორდაწიას მეთაურობით ევროპის ერთ-ერთ მდიერ სახელმწიფოს მთავრობათ ითვლება. შეიძლება ვინმე თქვენგანმა გაიცინოს, მაგრამ ეს დაქტია. ჩვენ რომ შეიარაღებული ჯარო გვაუადებს ისეთი, როგორც მაგ წყურულ ბოლშევიკებს ყავთ, მთელ ქვეყნიერებას დავამყრობდით. რა უფოთ, რომ საკუთარი ტერიტორია არა გვაქვს. სამაგიეროთ ევროპა ჩვენს ტერიტორიით მიგვანჩია.

ევროპის თვითიული სახელმწიფო თავისკენ გვეპატიუნება. ცხადია, ისინი ხარგებელს ელიან ჩვენგან. კარგათ იციან, რომ საბჭოთა წყობილების დამხობა მხოლოდ ჩვენი წყალობით მოხდება.

და აი, ჩვენმა მთავრობამ მომანდო როგორც ყველაზე გამჭრიახს და უპკვიანებს საბჭოთა წყობილების დამხობის გეგმის შედგენა.

დავალება დაუყოვნებლივ იქნა ჩემს მიერ მხარულებული. უნდა გაცნობოთ, რომ ამ საქმეში ჩემი მარჯვედა ხელი ჩვენი მმ-ბიჭს სადათიერა შევიღია.

გეგმის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს და დახმარება აღგვიტვეს ევროპის ყველა სახელმწიფოს დაშისტების და მერე ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა.

ჩვენთან არის ნავთის კარალი დებერლინგი, გენერალი გოფმანი, კაპიტანი ვებერი, უკრაინელი თეთრგვარდიელები და სხვები.

გეგმის შესახებ დაწვრილებით ვერ მოგწერთ. ჯერ-ჯერობით საიდუმლოებას შეადგენს, ჩეკას თვალებს რა დავამლება. გეგმის მთავარი აზრი იმაშია, რომ საბჭოთა ფულების მანანდა დევცეთ. საბჭოთა წყობილება ამით გაკოტრდება და დაეცემა. სხვა საშუალება საბჭოთა წყობილების დაეცემისათვის ფუჭი იცნება. ცხადია იმით ვერაფერს გავხდებით. ჩვენ უკვე შევუდექით ჩერვონცების საბჭულ ფაბრიკის აგებას. მთავარ დირექტორათ მე ვარ მოწვეული, ჩემს თანაშემწეთ — სადათიერა შევიღია. იცოდეთ, საქა-

რთველში ვაგონებით გამოგვგავნით ჩერვონცებს. ხომ იცით


დანარჩენი თქვენ იცით ჩვენი მოსავალი მთავრობის კანდიდატები ეხლავე გამონახეთ. მე არ დავაგვიწყდეთ. იყავით მხნეთ, თქვენი შალიკო ქარუმიძე*). — ამანავო ნინავო, ეს წერილი გადაეცეხანე სარქაროდ ჩვენ ტარტაროზს ბერლინში კომუნისტურ გაზეთებში გამოსაქვეყნებლათ. მითხრა ტარტაროზმა და წერ ი გადამოცეცა, რომელიც იმ დღეებე გადაეცეხანე ბერლინში.

სუშხაბარა.

*. როგორც გავს ეს წერილი ს. თ-ისაც წაუკითხავს. სიტყვა „მხნეთ“ წაუშლია და შედ დაუწერია: მთხლეთ“.

ს—რა.

„იშვიათი“ თაიგული



ჩერვონცები ვერო, ვკერი შმიდტიც მისთვის მოვიხმარე, ვკერი, მაგრამ ვერ მოვკერი სახამართლო გამოვთხარე.

ყალბი ჩერვონცების, ყალბი ხალხისა და ყალბი პროცესის შესახებ.

(ჩვენი ბერლინელი სპეციალიზირებული)

როცა ყალბ ჩერვონცებს ბეჭდავდა ფაშისტ შნეიდერის სტამბა ქ. მიუნხენში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ტომრებს ამზადებდნენ, ფინანსიური აგენტები კურტნებით იღვნიან სტამბის კარებთან, ხოლო შავი ბირთვის „გაოლიათები“ ნერწყვის ყლაპვას ვერ უთავლებოდნენ. ბაქოს ნავთი სურნელებს ჰვანტავდა ჰაერში და ისე ძლიერი იყოს ეს სურნელება, რომ ბერლინიდან ლონდონში ცხვირს აცემინებდა ნავთში მცურავ დეტერინგსაც.

ამიერ-კავკასიის „განთავისუფლება“ იღვა დღის წესრიგში. საკმარისი იყო სულ **3000** რამ — საბჭოთა ხელისუფლების დამხობა საბჭოთა კავშირში, — და ამიერ-კავკასიის „განთავისუფლება“ უკვე ფაქტი იქნებოდა.

მაგრამ როცა ყალბმა ჩერვონცებმა საბჭოთა კავშირი ვერ ააფეთქეს, როცა ყალბმა ჩერვონცებმა მოგვერდი უქნეს გერმანულ ნამდილ მარკას და ფინანსთა მინისტრს გულის სივანიერე შეჰყარეს, — გადაწყდა ყალბი ჩერვონცების შეთებულ ყალბი ხალხის ყალბად გასამართლება.

საინტერესო პირობებში სწარმოებდა მზადება პროცესისათვის. დამნაშავეები ავტოთი დასეირნობდნენ. როცა გადაწყდა პროცესის ბერლინში გამართვა, ვეჭილებმა განგაში ასტეხეს: „აქ მძიმე ატმოსფერია შექმნილი და სასამართლო ვერ იქნება ობიექტიური“, — გაიძახოდნენ ისინი და მოითხოვდნენ პროცესის გადატანას გერმანიის რომელიმე სხვა კუთხეში, სადაც ფაშისტები უფრო ძლიერი არიან. მაგრამ ვეჭილები მალე დაჩუმდნენ, რადგან სასამართლომ მათ პატიოსანი სიტყვა მისცა, რომ უზრუნველყოფილა „მსუბუქ ატმოსფერას“. ლების დაშოშმინებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ბრალდებულს სასამართლომ თარჯიმანად დაუნიშნა თეთრგვარდიელი, მემარჯვენე გაზეთ „დეიტზე ცე-ტუნგ“-ის თანამშრომელი.

როგორც იქნა დაიწყო პროცესი. ბრაოლიბოლი შნეიდერი, რომლის სტამბაშიაც იბეჭდებოდა ყალბი ჩერვონცები, არ გამოცხადდა სასამართლოში და შემოსთვალა: „არ მცალია“-ო. რაკი არ სცალია, მაშინ გავასამართლებთ, როცა მოიცლისო — ასეთი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება. არ გამოცხადდა არც ამ სტამბის მმართველი კიბინგი (არც მას ეცალა, ალბად!).

ქარუმიძემ სასამართლოს შემოუთვალა ქ. ბერნიდან, რომ თუ პატიოსან სიტყვას მისცემენ, რომ მას ხელს არავინ ახლებს, ის დაესწრება პროცესს. როცა მიიღო ოფიციალური დაპირება, რომ იგი „შეუვალაობით“ სარგებლობს, ქარუმიძემ კეთილ ინება და ჩამობრძანდა ბერლინში. ერთად-ერთი დაპატიმრებული ბრალდებული გახლდათ სადათიერაშვილი, მაგრამ საკმარისი გახდა 2000 მარკის გირაოდ დადება, რომ სადათიერაშვილსაც თავი თავისუფლად ეგრძნო.

ასეთი „შემსუბუქებული ატმოსფერით“ — ვეჭილები დიდათ კმაყოფილი იყვნენ, მაგრამ როცა პროცესს გაქიანურება დაეტყო, ვეჭილებმა დაჰკარგეს სულთიერი სიმშვილე და კატეგორიულად მოითხოვეს საქმის გარჩევის დაჩქარება. მათი მოტივი ის იყო, რომ კლიენტები ქვასტად არიან და მათ ვერ აუნახლაურებენ გონორარს (ეს გარემოება სასამართლომ ყურად იღო, რასაკვირველია).

„ნაპოლეონი“, როგორც კურდღლის ტყავს უიღის

ქარუმიძე, როცა მისი დაკითხვის ჯერი მოვიდა, ადგა და ნაპოლეონის პოზით დაიწყო ლაპარაკი:

— ჩემი მოწოდებაა პოლიტიკა. ჩემი მისიაა საქართველოს „განთავისუფლება“... ჩემი გეგმა, ჩემი მიზანი — საბჭოთა ხელისუფლების დამხობაა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რად დაგჭირდათ ყალბი ფულის ნიშნების გაკეთება? — მოულოდნელად წამოსცდა პროკურორის ასეთი შეკითხვა?

— ნაპოლეონ პირველსაც დასჭირდა ყალბი ფულის ნიშნების გაკეთება თავისი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად, მაგრამ ამას ჩრდილი არ მიუყენებია მისი პიროვნებისათვის. — აქ ქარუმიძემ გააკეთა ნაპოლეონისებური შესტი.

მოსამართლემ მოიხსნა სათვალეები. მთელი დარბაზი მოაშტერდა „ნაპოლეონს“. მოსამართლემ დაუწყო საქმეს ფურცელა. ეძებდა ქარუმიძის ბიოგრაფიას და მის ავან-ჩავანს.

დარბაზში ასტყდა ჩოჩქოლი. ისმოდა ხმები: „ნაპოლეონ!“ „ნაპოლეონ!“

სასამართლოს თავმჯდომარე იძულებული გახდა ხალხის დასამშვიდებლად გამოეცხადებინა საბუთი, რომელიც დადადებდა, რომ ქარუმიძე არ არის ნაპოლეონი. ქარუმიძე კურდღლის ტყავებით ვაჭრობს ბაზარზე.

დარბაზში ასტყდა დაუსრულებელი სიცილი. პროცესის გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

დანარჩენი შემდეგ. ბერლინი, 19 იანვარი. **სამიირ-ბენ-შეიხ.**



შეიქენი ბეცზე-ბეცო. — ველარ მშველის ჩერვონცი.

ქარუმიძის სიმღერა

დეტერმინაციონ „სმიჩკა“ მქონდა
ყალბ ჩერვონცებს როცა ვჭრიდი,
შემოხეულ ემიგრანტებს
ჩალასავით პირში ვჩრიდი.

გოფმანს გავეგმხანავე
გადავხლართე ბივრგან ქსელი,
ევროპა შემოვიარე
ვერ გავლიე შარა გძელი.

გამიგეს და სამჯავროს წინ
დამაყუდეს როგორც ბერი,
ჩერვონციბზე თვალი მჩრჩი-
ვიმზირებდი, როგორც შტერი.

თავს ყველას სე ვაჩვენებ
ვით უმანკო წმინდა კრავი,
ვცრუობ, ვტყუი,—ვცრუობ გმუნჯობ
ნუ მოგიყვდესთ ჩემი თავი.

ფონ-კრესშტინს ვეკურკურე,
გადავლახე მთა და ველი,
ქარუმიძე რომ გახლავარ
გაქეჩილი ძველის-ძველი.

სამსჯავროში თავს ისე ვგრძნობ
როგორც ვითხა სინის ხლართში,
მაგრამ მაინც არ ვწითლდები
დამიკარით ყველამ ტაში.

ლოყებ შექარხალებული
შევეცქერ სადათერეიშვილს,
ვებურს ნელ-ნელ უთვალთვალებ
ველარ უძლებს იგი სირტცივლს.

საქმე რადგან ცულათ მიდის
მოვიშველო უნდა შმიდტი,
ჩემთან იყო იმ ხანებში
ყალბ ჩერვონცებს როცა ვჭრიდი.

ვითხეთ თუ ვინდ გოფმანის ქერივს
როგორი ვარ ბიჭა—ბიჭი,
თითქოს ვეკურკურებოდე
ნუ შეგივით ამის იჭვი.

ვინ მე, ვინ ღონეუანობა
რას დაგედი ბებერ ქალებს,
ერთი შანტაუისტი ბიჭი...
ჩერვონცი მჭრიდა თვალებს.

მაგრამ როცა რომ გამიგეს
დავრჩი ისევ ხახამშრალი,
სულ ტყუილა ვიხლავფორთი
სულ ტყუილა ვნაყე წყალი.

ჭერი.

თანამედროვე ანღაჯები

- ◆ ორი სამსახურის მძებნელი ვერც ერთს ვერ ელი-რებო.
- ◆ დარაჯი ვიყავ, — გამგისა მეშინოდა. გამგე გაგ-ხლი, — დარაჯის მეშინიაო.
- ◆ პურმარული ქვაზე დასდე, გამოივლი და შექმუ-ლი დაგვცდებო.
- ◆ სალაროს ფულს მოლარე სქამს, მოლარეს გულს — ქალებიო.
- ◆ საქმეს წაახდენს მმართველი, საქმართველს და-ბრალდესო.
- ◆ სჯობს უმუშევრად ყოფნასა, კარგ სამსახურში დგომასო.
- ◆ სამსახურში ვითხოვე, კავშირის წვერობა მომთ-ხოვეს, კავშირის წვერობა ვითხოვე, სამსახური მომთხო-ვეს.
- ◆ გამგეს რომ მოხსნიან, ბოროტმოქმედება მერე გამოჩნდებაო.
- ◆ ქალი გამგის მამიდაო, უწყებიდან გაფრინდაო.
- ◆ უმუშევარმა დამტარებლობა იშოვა და თავი გა-პე ეგონაო.
- ◆ კარგი და ცული გამგე აპარატის წმენდის დროს გამოჩნდებაო.
- ◆ მფლანგველსა ვერას არგებს სასამართლოში ტი-რილი.

მზადება კამპანიისათვის

გაზაფხულის თვისვის კამპანიაში ზოგი ჩვენი პროფ-ორგანოებიც იღებენ მონაწილეობას, რისთვისაც დაწუ-ბულია საერთო გეგმის შედგენა. იგი დამთავრდება ამ ორ თვეში, ხოლო შემდეგ დაიწყება კონკრეტული გეგმის და-მუშავება და სულ ბოლოს — ალბათ მაისში, ან ივლისში შეუდგებიან კალენდარული პროგრამის შედგენას თვისვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებათ.

გეგმების გარდა, განზრახულია დაიწეროს მთელი რიგი ცირკულიარები, მოწოდებები და მიმართვები, რომ-ლებიც შეუთანხმდება სათანადო ორგანოებს და დამ-ტკიცდება შესაფერ ინსტანციებში.

სხვათა შორის ზოგიერთ პროფორგანოებს განზრ-ახული აქვს ცოცხალი მონაწილეობაც მიიღოს თვისვაში ბრიგადების გაგზავნით და ტრაქტორების შექენით.

თვით პროფკავშირთა საბჭო კი იმდენათ გაჯიუტდა, რომ თავს ანებებს ცირკულიარებს და 400 კაცზე მეტს აგროვეს (დაზგის მუშებიდან) ბრიგადების შესადგენათ და სოფლად დასაგზავნათ. **ლახტი.**

მზადდება „ტარტაროში“-სსკპსნიალური ნომერი **სელოკონება** ⁸

(ლიტერატურა, თეატრი, კინო, მუსიკა, ცირკი) თანამშრომლებს ვსთხოვთ
დაჩქარებით მოგვავსოლონ ადგილებიდან მასალაები.



— აბა, მაჩვენეთ თქვენი მოწმობა, ხართ თუ არა თქვენ მონადირეთა კავშირის წევრი?
 სტუდენტი (რომელსაც არა აქვს მონადირეთა კავშირის მოწმობა, ხოლო აქვს—უნივერსიტეტის მოწმობა):
 როგორ არა მაქვს ისე როგორ შეიძლება ნადირობა?!
 — ჰოოო, კარგი... უკაცრეაუდ...



№ 11 სახლის მცხოვრებლებმა განცხადება შევიტანეთ ჟაქტში, სახლის სახურავის შეკეთებას ესთხოვდით. ეს იყო 1928 წ. მარტში. როგორც იქნა, 1929 წლის მაისში მოვიდა კომენდანტი და მეგზოვებს ჰკითხა — „მართლაც სახურავი გაფუჭებული თუ არა“? როდესაც კომენდანტი დარწმუნდა სინამდვილეში, უკანვე გაბრუნდა და კომისიას აცნობა ამის შესახებ.

ივლისში მოვიდა კომისია, დაათვალიერა სახურავი. ისიც დარწმუნდა სახლის სახურავის უფარვისობაში და ტენიკს შესაფერი განკარგულება მისცა; სახლის შესაკეთებლად.

სექტემბრის პირველი რიცხვები იყო, როდესაც ჟაქტის ტენიკი და ექვსი მუშა - ხელოსანი გამოცხადდნენ თავისი მოწყობილობით და შეუდგნენ სახურავის უფარვის ნაწილის გადართობას და ახალის დაგებას.

ოთხი თვის განმავლობაში საშინელი ბრახუნები და ჭახა - ჭუხი ისმოდა ეზოში.

დილის ხუთ საათზე ატყდებოდა გულშემზარავი რახუნები. ძილში ზარბაზნების ხმად მომესმოდა... თითქოს ჩინეთის პოზიციაზე ჩან - კაიშის წინააღმდეგ ვიბრძოდი, მაგრამ მალე ამ სიზმარსაც ბოლო ეღებოდა ისეთ ჭექა - ჭუხილისაგან და ნახევრად უძინარი უთენიად ფეხზე ვდგებოდი.

სალამოთი უკვე კარგად შებინდებისას წყდებოდა ეს ორომ-ტრიადი.

ასეთმა ყოფამ გასტანა კიდევ რამოდენიმე კვირა. ბოლოს, როგორც იქნა, გველიორსა და... მშვენიერ დილას დავინახეთ სახურავზე ჩოთქით ხელში მღებავი, რომელიც წითელ საღებავს უსვამდა სახურავს.

სიზარულისაგან გიჟივით გამოცვივდით მთელი მღგმურები გარედერთმანეთს ეოლოცავდით. იმ დღეს ყველამ სახეიმოთ ვისადილეთ.

სამი დღის შემდეგ სახურავის სანახავად და ნაშუშეგარის შესამოწმებლად ჟაქტიდან მოვიდა კომისია ათი კაცისაგან შემდგარი. ავიდნენ სახურავზე, წინ კომენდანტი მიუძღვოდა, რამოდენიმე გამგეობის წევრი,

ჟაქტის თავმჯდომარე დიდი პორტფელით და მეზოვე აბასა.

— სად არის ტენიკი? — დაიყვირა ვილაკამ.

— აქა ვარ, აქა! — მოისმა ხმა და... 12 ფუთიანი ტენიკი ქლოშინით ძლივს აიღოდა ჭერ - ქვეშიდან სახურავზე.

— ამხანაგო ტენიკო, ეს სახურავი არ ვარუა, ცული გაკეთებულია, ასეთ ნაშუშეგარს ჩვენ ვერ ჩავიბარებთ! — განაცხადა ჟაქტის თავმჯდომარემ. მას სხვებიც მიემხრენ.

— აბა, რასა გავს ეს! ჟესტის ფურცლები ერთმანეთზე დაშორებულია. ცუდით არის მიკავშირებული! — შენიშნა კომენდანტმა.

სახურავზე ცხარე კამათი ვაიმართა. ტენიკი ტანსქელიძე თავისას

გნათ — ქაქავას. მიღებულა... — მიღებულა, მიღებულა! — იგრილა ყველამ ერთხმად და გაისმა ტაში.

— ამხანაგო თავმჯდომარე, დაიკავეთ ადგილი, — მიმართეს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე შემობრუნდა და იქვე ბუხრის საკვამლე მილთან დაიჭირა ადგილი, რომელიც ტრიბუნის მაგიერობას უწყვედა. სხვებიც სახურავზე დალაგდნენ ფეხმორთხმული.

— ამხანაგებო, კრებას გახსნილათ ვაცხადებ. დღის წესრიგში განსახილველია საკითხი: ვარგისია თუ არა ახლად შეკეთებული სახურავი. აზხ. კომენდანტო, სიტყვა თქვენ გეკუთვნით.

— ამხანაგებო, — წამოდგა კომენ-



ამტკიცებდა, დანარჩენები კიდევ თავისას. შემმოწმებელ კომისიის ათ კაცს კიდევ ორი მიენატა.

— ამხანაგებო, ასე უთავბოლოდ ლაპარაკი არ შეიძლება; კრება გავმართოთ. ავირჩიოთ თავმჯდომარე და მდივანი! — დაიძახა ვილაკამ. მართალია, ავირჩიოთ, თავმჯდომარეთ ტიკიბერძეს ვასახელებ; მდი-

დანტი. მაგრამ ამ დროს, პოი საშინელებაზე, რაც იქ მოხდა და რაც მღგმურებმა დავინახეთ... კრების სიმძიმეს ველარ გაუძლო ბედშეგმა სახურავმა და ხრილით ჩაინგრა; და კომისიის წევრები ერთად თან ჩაიტანა მღგმურების იმედი სახურავის შეკეთების შესახებ.

თანდილა.

მესტვირისებური

გადავიკიდე სტვირი და გავყევი საბჭოს ჭუხასა, სამოცდაათიწლიან ნომერში. სული ჩაებერე გულდასა. ხსენებულ სახლის ეზოში ოდესღაც ბალი ჭებული, მოვლილი, შენახული და სინათლით გაჩაღებული. დღეს კი ჯაგებდა გამხდარი უდაბნოდ გადაქცეულა,

ფუჭად ჩასულა მიწაში რაც თფლი იქ ჩაქცეულა. რა ჩავეხედე ამ ბაღში, ვნახე ახალი მღგმურები, კატა, იხენები, გოჭები, ქათმები, ინიაურები. სოც-შეჯიბრება აქ არის მეტი ქათმების ყოლაში, (ვინა რა ბალი დალუპეს ქიშპობაში და ბრძოლაში).

შინაური.

„შეჯიბრი“

კაპიტონ თოხლაძე სიხარულისაგან „ცას ხელს ავლებდა“, როცა ლენინის სახელობის ქარხანამ, საცა ის მემანქანის თანაშემწედ მუშაობდა, სოციალისტურ შეჯიბრში გამოიწვია მარქსის სახელობის ქარხანა.

კაპიტონისათვის, რომ გეკითხათ სოციალისტური შეჯიბრის მნიშვნელობის შესახებ, ნათელ პასუხს ვერ მოგცემდა. და თუ მაინც მას ეს ემბავი აღვრთოვანებდა, ეს იმიტომ, რომ „მისმა“ ქარხანამ (ახე უწოდებდა ის ლენინის სახელობის ქარხანას) დაასწრო მარქსის სახელობის ქარხანას და პირველათ გამოიწვია ის შეჯიბრში.

კაპიტონის აზრით ლენინის სახელობის ქარხანამ უკვე გაიმარჯვა იმით, რომ პირველად გამოიწვია მარქსის სახელობის ქარხანა. კაპიტონს ყველაფერში და ყველასთან პირველობა უყვარდა, როგორც იტყვიან, ავადმყოფური თავმოყვარეობის გამო.

ლენინის სახელობის ქარხანამ წინასწარი მუშაობა სოციალისტური შეჯიბრისათვის ბრწყინვალედ ჩაატარა.

მარქსის სახელობის ქარხანაც არ ყოფილა „გულზე ხელ დაკრეფილი“. მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ფართოდ შექდებოდა სოციალისტური შეჯიბრის მნიშვნელობა და ის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც საჭირო იყო შეჯიბრში გამარჯვებისათვის.

მართალია, ამ კრებებიდან კაპიტონმა ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ იმაში მაინც დარწმუნდა, რომ სოციალისტური შეჯიბრი კარგი საქმე იყო.

კრება თავმჯდომარე აღვრთოვანებული სიტყვით დაასრულა:

— ამხანაგებო, იცოდეთ, რომ ზვალდიან ჩენი ქარხანა სოციალისტურ შეჯიბრს აწარმოებს, იცოდეთ, რომ ჩვენ ვაკეთებთ დიად საქმეს სოციალისტურ წესობილების განმტკიცებისათვის. ყველა ჩვენთაგანი უნდა იდგეს თავის ადგილას და ასრულებდეს პროლეტარულ მოვალეობას.

საუკეთესო ცეხები, ბრავადები, ჯგუფები და ცალკე ერთეული მუშეებიც მიიღებენ ჯილდოს და აღინიშნებიან წითელ დაფაზე. გაუმარჯოს სოციალისტურ შეჯიბრს, გაუმარჯოს კომუნისტებს! — თავმჯდომარის უკანასკნელი სიტყვა დაიფარა ტაშის გრიალით.

კაპიტონიც არ ჩამორჩა სხვებს და გაიძახოდა თავის ძლიერი ხმით: — გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

ს ა ყ ა ს ბ ო შ ი



მუშტარი: — ეს რა ძველი ხორცია? საშინლად ჭყარს!

— შე დალოცვილო, შენს ამდენ ლაპარაკში აუროლდება მა რა ძოღვას!

— ამხანაგო კაპიტონ, ასეთი საზეიმო კრების შემდეგ სირცხვილი იქნება, თუ ცოტა არ „გადავკარიო“ ხუმრობის კილოთო ჩაულაპარაკა მას სევასტიმ, რომელსაც „ბანი“ მისცა თეოფილემ.

— როდის იყო, რომ შე თქვენზე მეტს სირცხვილს გეახლებოდი? — ამაყად მოუგო კაპიტონმა მათ.

რამდენიმე წუთის შემდეგ კაპიტონს, სევასტი და თეოფილე მახლოზელ რესტორანში ქეიფობდნენ.

— აბა, კაპიტონ, შენთან ვარ ალავერდი! და შეზარხმებული სევასტი ღვინით სავეს ხასმისს გადასცემდა მას.

— იახშიოლდი! მოგიკვდეს კაპიტონი თუ უკანასკნელ წვეთამდე არ გამოსცალოს! და კაპიტონი თავის სიტყვას „პირნათლად“ ასრულებდა.

ღვინს 11 საათზე გაიხმა ქარხნის საყვირის ხმა. ამ დროს მუშები ისვენებენ საუზმისათვის. საყვირის ხმაზე კაპიტონს გამოეღვიძა, საწოლიდან წამოხტა, ტანზე ჩაიცვა და ქარხნისაკენ გასწია. ქარხნის ეზოში რომ შევიდა, მუშები დაინახა.

— მუშაობა არ დაუწყეთ! — გაიფიქრა მან და გაეხარდა.

— ამხანაგო კაპიტონ, ნუ თუ შენ ასე გესმის სოციალისტურ შეჯიბრში მონაწილეობის მიღება?

ნუ თუ არ გრცხვნივია, რომ ღვინოში შეჯიბრამ ამაღობინე სოციალისტურ შეჯიბრს? ეუბნებოდა მას ქარხნის თავმჯდომარე მუშა ვიგო ერთგულად.

კაპიტონ თავაქინდრული იდგა და სინდისის ქენჯნახ განიცდიდა.

ნიანბი.

„ს ა ნ ი მ უ შ ო“ მ ი თ ი თ ე ბ ა

საქართველოს ბინათ კავშირის რევიზორმა გადაშალა მე-17 „უაჯკის“ ბინათ კავშირის ინსტრუქციის მითითების წიგნი“ და შიგ ჩასწერა შემდეგი „მითითება“:

„ოპოზიციური თანხები არ იქნას გაცემული სალაროდან **გაშსამართლებელ** საბუთების უმისოდ.

ინსტრუქტორ - რევიზორი: ნანეი-შვილი.

ამის წარმომადგენლის ხელის მოწერა: კარანაძე.

„უაჯკის“ გამგეობის სხდომაზე დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ხსენებულმა მითითებამ.

— ზე მდგომი ორგანოს მითითებაა და უნდა გვატაროთ. მით უმეტეს სახალხო სასამართლოები და თვით ინსტიციის სახალხო კომისარიატი მეზობლად გვეყვან. — დაიჩივა გამგეობის თავმჯდომარემ.

— გამფლანგველების გასამართლება კი ვამიჯონია, მაგრამ სალაროს საბუთების გასამართლება რაღაც ახალ აღმოჩენად მიმაჩნია. მაგრამ რაკი რევიზორი მიგვითითებს, უნდა გავასამართლოთ. მაგრამ... რომელი სასამართლოს ვინდათ გადავსცეთ?

— მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს..

— მე-4 უბნის სახალხო სასამართლო, მისი მოსამართლე მოისწრაფვი-მვილის სახით ისე გასამართლებს და გაარჩევს ჩვენ საბუთებს, როგორც მან გაარჩია სამქეები №№ 122, 144, 141, 1470, 917, 1336, 1778, 2265 და სხვა, რომლებიც დაწყებულია 1928 წლიდან და რომლებიც უმიზეზოდ გადაიღო, გადმოიღო, კვლავ გადაიღო და კვლავ გადმოიღო და რომლების დასრულებას შეიძლება არც კი მოესწრონ მომჩივან-მოპასუხეები! — ჩაბნელებულა ერთ - ერთმა დამსწრემ;

— მაშინ, 1-ლი უბნის სასამართლოში — წამოიძახა ვილაცამ.

— 1-ლი უბნის სასამართლოში? კი მაგრამ მოსამართლე ესე კალანდაძე საუკეთესოა მისთვის კაბინეტში დაუკითხავად არ შეგვიშვებს, და შეიძლება ამხ. ამხ. კაქაბაძისა და კაქაბაძის დღეშიც ჩაგვყაროს! — სიოქვა გამგეობის მეთორე წევრმა.

— კაკაბაძე იქ უაჯკე აღარ არის.

— აღარ არის? მაგრამ, აპარატში მყოფი თანამშრომლები ხომ დარჩენილნი არიან საბუთებსაც ის დღე დადავება, რაც დღე ადგია 1927 წლიდან დაწყებულ სამქეებს №№ 260, 80, 646, 691, 660, 697, 260, 1309, 1371, 1876, და სხვა, რომლების დიდი ნაწილიც კიდევ რეისტრშიც არ არის გატარებული.

— კაცო, მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში გადავგზავნოთ. — წამოიძახა მდივანმა.

— მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს თანამშრომლებს საქმეებისათვის არ სცალიათ. ისინი ფანჯარებში ცქერით სტკებებიან და ათვალეირებენ ვლელ - გამოძვლელო. სამგლოვიარო პროცესებს და სახანძრო რაჟმის გავლას! — განაცხადა კომენდანტმა.

— გამოძიებულზე არის საქმის დაჩქარება დამოკიდებული. მოდი გამოძიებულზე მოველაპარაკოთ.

— გამოძიებულები? გამოძიებულ ავნატოვის ხელში თუ ჩავარდა ჩვენი საბუთების საქმე, ის, ისე უძრავათ იქნება უჯრაში ჩადებული, როგორც ამჟამად ძვეს საქმეები №№ 77, 163, 48, 37, 41, 39, 184, 171, 162, 133; 130, 70, 120, 134, 163, 82, 194, 207, 233, 187, 227, 207 და 142-2.

— გამოძიებულები მგალობლიშვილი? — იკითხა ერთმა.

— მგალობლიშვილი საბუთების ნაცვლად ჩვენ მოგვცემს პასუხის გებაში, ისე როგორც მოქ. ედნანის ნაცვლად დაზარალებული მოქ. იბრაგიმ ადარ-ოღლი მისცა პასუხისგებაში და საწყალი რომოდენიმე კვირით გამსახლში ვაგზავნა.

— ჩემო ძმაო, საშველი აღარ ყო-

ფილა და ისევე ცენტრალურ პროკურატურაში გადავგზავნოთ და იქედან დავაჩქარებოთ. — შემოიტანა წინადადება სასოწარკვეთილებასში ჩავარდნილმა გამგეობის მესამე წევრმა.

— ებეე!... მენ გინდა სულ მთლად დაიკარგოს ჩვენი საბუთები და სისხლის სამართლის დამხაშავის საქმეზე წამოვიგვასკუპონ? ცენტრალურ პროკურატურაში ჩვენი საბუთები ისე დაიკარგება, როგორც დაიკარგა საქმე № 48, რომლის გზა-კვალი დღესაც არ იციან. — განაცხადა თავმჯდომარემ და შემოიტანა წინადადება:

— მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ვაცით რა დღეშიც ჩავარდება ჩვენი საბუთები სახალხო სასამართლოში რევიზორის მითითების თანახმა დასაქორა საბუთების **გაშსამართლებმა**, ამიტომ ისინი (საბუთები) გადავიგზავნოს მე-5 უბნის სახ. სასამართლოში.

მე-5 უბნის სასამართლოს ხსენებზე ვილაცას აეშალა საღერლეო, მაგრამ თავმჯდომარემ, ჩააჩუნა და მითითების თანახმად ერთი წლის განმავლობაში დაგროვილი სალაროს საბუთები გადაუგზავნეს მე-5 უბნის სახ. სასამართლოს გასამართლებლათ.

ტოქსინი.

გ ა კ ო ტ რ ე ბ ა

როგორ გგონიათ—მე საეაქროს დაეკეტავდი?

თქვენ არ მომიკვდით. მართალია გადასახადებმა ტყავი გამაძვრეს, მაგრამ ეს ჭირი, შესაძლებელია, გადამეტანა, დუქანი არ დამეკენდა, რომ თავს

სხვა უბედურება არ დამტებოდა ჩემ დუქნის ახლოს არ იყო კოოპერატივი. სწორედ ეს გარემოება მახარებდა, მუშტრები ბლომად მყავდა.

მაგრამ.. ერთს მშვენიერს დღეს მხვთისმშობელის ხატივით ჩამოკიდეს ჩემს წინ აპრა წარწერით: „ერკოოპ“.

ისეთი გავხდი, რომ მესამე სტადიის ქლექიანი გგონებოდით.

მუშტარი ისე გამეცალა ხელიდან, როგორც დახეულ ტომრიდან ხორბალი.

უსაქმობამ ძილი იცისო. მიქარვაა. აბა რა დამაძინებდა, როდესაც ჩემი მუცელი სიმშლიისაგან კახეთის მატარებელივით დღმოდა. ერთად-ერთი იმედი ისლა მქონდა, რომ მუშტარზე ნისია გამეშვა, რომ ისევე ჩემსკენ შემომებრუნებინა.

ასეც ვქენი.

გახალდა ვაქრობა. დახლში ისე ეტრიალებდი, როგორც ვეფხვი—დამაწერე... ამიწონე... ხელს მოვცემ. 15-ში გამოგვგზავნა...—და მეც ვწერდი. ჩემი დუქანი „სულის“ კანცელარიის დაემსგავსა.

გავიდა ორი კვირა... ყველაფერი გავყიდე. დავიჭირე ხელში დაკორები და ჩამოუარე ჩემს მეგალებს.

— ხვალ მოდი.. ზევ შემოიარე...

20-მდე არაფერი იქნება.—მისტუმრებდენ ისინი.

განა ეს ბიუროკრატობა და საქმის ვაჭიანურება არ არის? მე, რომელმაც საკვლე ვუყავი, ისე მისტუმრებენ, ვისაც მათთვის არაფერი სიკეთე უქნია, მას რაღას უზამენ?

მათი გვარები ჩამოწრილი მაქვს და როდესაც მათ დაწესებულებებში წმენდა დაიწყება, მე იქ გავჩნდები და უყვირებ სახალხოთ, რომ ისინი პირ-წაყარნილი ბიუროკრატებია.

მაშ რა გგონათ! ჩემს ვაკოტრებას შევარჩენ?

თილიყამყამი.

ყ ა მ ბ ა ნ ა

ჩვენი მსუბუქი კავალერიის თავდასხმა იუსტიციის კომისარიატზე



ც ნ მ ბ ა

ჩვენი შეტევა იუსტიციის კომისარიატზე გრძელდება. ჯერ-ჯერობით დავიპყარიო დამცველთა კოლეგია. ბრძოლის შედეგი — შემდეგ ნომერში



ამირალოვი კადეტი რედაქტორობდა გაზეთსა. (ეჰ, რა იცოდა, თუ ის დროს მოესწრებოდა ასეთსა?!) სასამართლოში მოეწყო კბილთეთრი, გულით შავია; ნიკოლოზის დროს, ვინ იცის, სად და სად უმუშავია?!



ძველთაგან გახლავთ ვეკილი მას ცოდვები აქვს რამდენი, გედევანიშვილს, გაქეკილს სახელად კევა პარმენი. ქვეშ-ქვეშ დაძვრება, მოელის, — სადმე წამოყოს თავია, თავის წარსულით ბრძანდება, გულით და სულით შავია.



აქ ნეტავი სიდან მოხვდა გუბელაძე კაპიტანი? კომენდანტის ექსელბანტით დანამშვენი ჰქონდა ტანი. ანი-ბანი არა ესმის კანონსა და სამართალში, — მაგრამ ისე იბერება, რომ არ უჩანს არვინ თვალში.



როცა ფულზე გაქესათდა ჩვენი ანდრონიკაშვილი, (ალექსანდრეა სახელი, წარჩინებულ გვარის შვილი), ლადიძის წინ გამოჰკილა რეკლამა ფართოდ გაშლილი, კლიენტებს მოუწოდებდა თავისკენ მადა აშლილი.



ეს გიორგბაძე მინისტრი ჩვენში „ცნობილი“ კაცია, — და როცა მენშევიკებმა მოაწყვეს პროვოკაცია, — მინისტრი შეარაღდა, (როგორც ასეთ დროს იციან) — აფხაზეთს ცეცხლი დაუნთო, ოხეთზე შური იძია. დღეს ჩვენი გრიგოლ ვეკილობს საბჭოთა სასამართლოში, მაგრამ ვაი, რომ წმენდის დროს ის მაგრათ ჩავდა კალოში.



მენშევიკების პალატის ეს გახლდათ პროკურორია. არ შეუცვლია ხალათიც; „ასლი დედანთან სწორია“. რაც იყო ისევ ის ღარჩა, თუმცა ძმები ჰყავს შორეა. მართლმსაჯულეებად ასაღებს, რაც გაუგია ჭორია, იმიტაც თავსა გვამადლის, რომ ის გელაზაროვია; აწი ვერაფერს დავტყუებს ეყოს რაც მოუწოვია.



ნიკოლოზის პოლკოვნიკი დღეს საბჭოთა კანონს ფიცავს; აბა თქვენ სთქვით არლუთინსკი რას დაიცავს, ვის დაიცავს? იმედი გვაქვს კომისია ახეთ „დამცველს“ „გამოჩინტავს“.



ბარათაშვილი ოსიკო „ოპერის მომღერალია“, უყვარს მდიდრები, კულაკი, ფულზეზე რჩება თვალია,

კოვზი ნაცარში

ეს ამბავი მეტად მარტივია.

იყო და აღარ არის: იყო ერთი „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა, რომელსაც ნოე რამიშვილი სამართლიანად სთვლიდა თავის თავის, მისი ძმების მენშევიკების, ძმა-ბიჭ წვრილ ბურჟუაზების და პაპოჩქა მსხვილი ბურჟუაზების სამფლობელოთ.

რა უამი აღსრულდა, „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკის მუშა და მშრომელ გლეხთა დამოუკიდებელი სურვილით, საბჭოთა საქართველო მართლაც ნიხნდა დამოუკიდებელი ყოველგვარ ჯიშის, ხარისხის, კატეგორიის, სახის მართყათის მენშევიკ-ფედერალისტ - მონარქისტ - ნაციონალ - დემოკრატ - კადეტ-ფაშისტ-კუქისტ - ანტიურისტებისაგან და რასაკვირველია, ამ საზოგადოების გულის მოსაკლავათ, მჭიდროთ დაუკავშირდა საბჭოებს და მათ კავშირს.

რალა თქმა უნდა, ეს ამბავი არაფრათ ებიტნავათ ბურჟუებს და მათ ლაქიებს. ამიტომ გადასწყვიტეს მოსპოათ საქართველოს ახალი დამოუკიდებლობა და ძველი „დამოუკიდებლობა“ აღუდგინათ, რადგანაც ამით მოიგებდა... ბურჟუების ჯიბე და კუქიც.

ყველა ამის გამო, იქ, ევროპაში, უმთავრესად სამხედრო და დიპლომატიურ წრეებში, სადაც სწყდება საქმენი უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისანი, გადასწყვიტეს დაემოთ მსოფლიოს ის ნაწილი, სადაც ხალხი იმდენათ გავიქდა, რომ მოსპო ბურჟუაზიულ-მონარქისტული, ანუ მონარქისტულ-ბურჟუაზიული წყობილება და საბჭოებს ჩააბარა ძალაუფლება.

ეს საკითხი—ამ მეექვსედიის განადგურება ევროპის მონარქისტულ-ფაშისტურ წრეებში მიღებულ იქნა ერთხმად და პირველ რიგში გადაწყდა საბჭოების ქვეყნისთვის ჩამოეშორებიათ ისეთი კუთხეები, როგორიც არის ამიერ-კავსაკია (უპირველეს ყოვლისა კი საქართველო) და უკრაინა.

ერთი სიტყვით, გადაწყდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა ამიერ-კავსასია და უკრაინაში.

თქმა და შესრულება ერთი არაა. ყოველ შემთხვევაში, ყველამ აღბად იცის, რომ თქმა გაცილებით ძნელია შესრულებაზე.

მაგრამ იქაურებმა, ევროპის ფაშისტებმა გადასწყვიტეს თქმა და შესრულება ერთი ხანით გაეტარებინათ და ამიტომ ხელი მიჰყვეს... ყალბი ჩერვონცების დამზადებას.

არ გჯერათ?

კითხეთ თვით დეტერდინგს, — ნავითის მეფეს, რომელსაც ნავითიანი ნერწყვი მოსდის ბაქოს ნავითის გაფონებასა და მოგონებაზე; კითხეთ ფაშისტ ვებერს, რომელიც საბჭოთა კავშირის ხსენებაზე დამლაით ვარდება, კითხეთ ბელს, კითხეთ ფაბრიკანტ შმილტს, კითხეთ გერმანელსავე ვინერალ კრესს, გოფენანს, კითხეთ ინგლისელ გენერალ სტოკს და სხვა გენერალ - ფელდმარშლებს.

ერთი სიტყვით, კითხეთ ყველას, თუნდაც იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც ამჟამად ასამართლებს ყალბი ჩერვონცების მკეთებელთ.

დაბოლოს, კითხეთ თვით „დამოუკიდებელი საქართველოს“ მთავრო-

ბას, რომელიც რალაც მოსაზრებით პარიზში მოკალათებულა და არა საქართველოში და რომლის წევრებს ზოგს სამიკიტნო აქვს პარიზში, ზოგს ლუდხანა, ზოგს უბრალო სავაჭრო და ზოგიც ისე, თათარიანად ფეხზე ვაჭრობით ცხოვრობს.

კითხეთ ამ „მთავრობის“ წევრებს და ისინი დადასტურებენ, რომ ყალბი ჩერვონცები მზადდებოდა ევროპის რეაქციონურ ძალთა უშუალო ხელმძღვანელობით.

ან, ბოლოს და ბოლოს, კითხეთ თვით გენერლების ფინიებს — ქარუმიძესა და სადათიერაშვილს, რომლებიც ახლა სასამართლოში წავეწყვებენ და ისინი გაიმბობენ, თუ როგორ და რა იმედებს ამყარებდნენ რეაქციონური ძალები, იმპერიალისტები, ფაშისტები, ბატონი „სოციალისტები“ და სხვა ისეთები იმ ყალბ ჩერვონცებზე, რომელთა ტალღას უნდა წაელეკა ბურჟუაზიული სამყაროსა და ჩვენი საზღვრების შორის აღმართული კედელი.

კითხეთ, ნუ დაგერიდებათ. კითხეთ და გაიგებთ, დარწმუნდებით, რომ იმ სკამზე, სადაც ახლა ქარუმიძე - სადეთერაშვილები სხედან, უნდა იჯდის აგრეთვე მთელი ის იმპერიალისტ - ფაშისტ - რეაქციონურ - ბურჟუაზიულ - სოციალ-დემოკრატიული ხროვა, რომელიც კბილთა ღრქენით შიკყურებს ხუთწლიანი გეგმის 3 წელში განხორციელებას, და რომელსაც ახლო მომავალში მოუხდება საკუთარი ორმოს გათხრა.

კითხეთ ასე თუ არ იქნება ევროპის მუშებს! კითხეთ, ნუ დაგერიდებათ!

ლახვარი.

სახელგამის ადგილკომი

კრებები თუ მოიწვია სახელგამში ადგილკომმა,— ერთ მესამედს თავს ვერ უყრის თუმც ბევრია ხეწნა, თხოვნა.

თუ რომ შესძლო ადგილკომმა და მოაწყო კინო,— ცივ-ცხელი ოფლი დაგასხამს, უნდა გქონდეს ტილო.

ევედრება თანამშრომლებს: საომო გვაქვს მოლით, თქვენთვის უფასო იქნება, მე უშვებ კულტ-ფონდით.

თავის დროზე მესამედიც აღარ მოვა, არა: ეწერთ, მაგრამ კვლავაზეთებში წერამ არ იკმარა...

სისრულეში რომ მოვიდეს აღარავის ახსოვს, თუმც ეკონომ-კომისიის ოქმები აქვს კაკოს.

შიგ წერია: დავადგინეთ მივსცეთ მესტკომს ბინა, მაგრამ ამით დამთავრდება, თავს იწუხებს ვინა?

უბინაოდ ადგილკომი ვერ ივარგებს, ვერა; მისთვის აღარც ოთახია, აღარც ცეცხლის კერა...

ცივ ბალკონში დასკუბულა, იაჰაგაგებს, სცივა; პასუხს ვეღარავის აძლევს, თუმც მრავალი მივა...

არა ერთხელ დააოიანეს, სამკითხველო გავხსნათ, გამგეობაც ვარს არ ამბობს. გაიხსნათ, გაიხსნათ, გაიხსნათ...

ჩვენ გვგონია ხვალ იქნება, ან თუ არა—ზეგ, მაგრამ ჩვენ ვეღარ ვიღირსეთ. მიდის „ხვალ და ზეგ“.

ტარტაროზიან გივედრები შეუთვალე პარონს. ჩვენ გვეყოფა მოლოდინი, იმდენი გვაკმაროს. ადგილკომსაც მიგვიხედოს მოგვეცეს კუთხე-ქონი, თორემ საყვიდურებია, როგორც ხშირი კონი...

„შარიანი“.

რ უ ს უ ლ ი ი უ მ ო რ ი

იმ, სადაც საბჭოთა ტრისტის შუამავს ამაღლებს.



— აი, აქ დავრჩეთ მუღმივად, მუღღრო ადგილია, აქ არავინ არ დადის!



— ჰაა, ბაბუა, არ გაბედო ჩემი ვალაჩვა, თორემ პასუხს გაგებინებენ ახკორის ვალაჩვისათვის.



— თქვენ ტყვილათ ამბობთ, თითქოს ჩვენ თქვენს კამპანიის შესახებ ლაპარაკის მეტი არაფერი გვაქვს. ვერა ხედავთ ამ სპეშმ მბს?



— ცხვირადე აუცილებლად უნდა მოხდეს წმენდაში. მას იმდენი ცოდვები აქვს, რომ...
— მაშ რატომ სდუმხარ? ადექი და სოქვი.
— სულელი ვარ ვსოქვა? მე მის შემდეგ მიწევს წმენდაში გატარება!

ნ ე კ ვ ე რ ც ნ ა ლ ი

ფანსების დაკლება. სახელგამი ახლო მომავალში, მასებთან დაახლოების მიზნით, აპირებს მასიური ლიტერატურის გამოშვებას. წიგნების ფასი გადიდებული იქნება ასი პროცენტით.

საკონსერვო სურათი. სამხატვრო აკადემიის პროფესორი თათოფიანი, ქრისტეს პორტრეტის დაბატვასთან დაკავშირებით, გაძლიერებულ აგიტაციას ეწევა სტუდენტთა შორის „მოსე წინასწარმეტყველის“ სურათის საკონკურსო შესრულებაზე ათი მცენების მიხედვით.

მითვალაუბრება ნორმებზე. ტფილისის მუსკოვოპის ზოგიერთ მაღაზიებში, მომხმარებელთა შორის შექრის წესიერად განაწილების მიზნით, გაძლიერე-

ბულია მეთვალყურეობა ნოქრებზე.

— **ლიტრაზე გადასვლა.** ტფილისის კერძო ლენინის სარდაფების პატრონებმა გადასწევიტეს, ყოველი თვის პირველი და თხუთმეტისათვის, ლიტრაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გადიდონ ლენინის ფასი ოცდახუთი პროცენტით.

— **ლემციბი.** ხელოვნების სასახლეში, დღეს, ლამის პირველ საათზე ბესარიონ ჟღერტი წაიკითხავს ფრიალ საგულისხმო ლექციას შემდეგ თემაზე: „მე და სიმონ ჩიქოვანი“. კამათში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია დენმა შენგვლაია.

მ გ ზ ა გ რ ო ბ ა კ ა ხ ე თ შ ი

— წადი, შემოიარე კახეთის ოლქი და სატარტაროზო ჩამოიტანე!—ასეთი დავალება მივიღე ტარტაროზის რედაქციიდან.

ზამთარში, „ბირი სოფლისკენ“ არ არის ჩემი ლოზუნგი, მაგრამ, თუ კარგი ბიჭი ვიქნები და ტარტაროზისთვის უარს ვიტყვი, მაშინ მე თვით გავხდები სატარტაროზო. ცოლშვილში სასწრაფოდ, რიგსარეშე თათბირი მოვიწყვი და რომ არ დამგვიანებოდა კახეთის მატარებლისთვის აღარ დამიცილია, პირდაპირ ფეხით წავედი კახეთისაკენ. სწორედ ეს იყო მიზეზი რომ სოფლები რიგზე შემოვიარე.

მიუხელოვდი თუ არა ველისციხის კოოპერატივის, გზაში შემომხვდა პანისია და ჩემდა მითხრა:

— ერთი შეხედვამგებობის წევრ მიტრიანშვილს როგორ ჩემდა აღლევს ხმაჩამოართმეულ ვანო ალთუნაშვილს ღარიბების საქონელს.

— რატომ შვრება ასე?
— აბა როგორ უნდა მოიქცეს, ის ყოფილი განთქმული ვაჭარია. ახლაც „შეხებმა“ გამგებობის წევრად წამოასკუბეს!—მითხრა პანისიამ.

— არც ჩვენი ნუკრიანის კოოპერატივის საქმეა კარგად. შენ იცნობ რაღა, ამხანაგო, თარალაშვილს?

— იცნობ, როგორ არა, ის ხომ ყოფილი გვარდიელია.

— ხო, ალბად იმიტომაა რომ მოჯამაგირეებს და ღარიბებს ახლოს არ გვიკარება. ამას წინედ კოოპერატივი ჩაიკეტა თავის ძმა ბიჭებთან ერთად. ჩვენ გარეთ გამოგვყარა, მოსული საქონელი კი ძმა-ბიჭებს დაურიგა.

— შენ რა წამიბია მიღებული?

— ზომა რათ უნდა, თოფობით აღლევს!—უცებ მომიჭრა მოჯამაგიროცა ჩემი შეკითხვა გაიგო.

გზაში შემომალამდა. ცოტა თოვდა კიდეც. მიუხელოვდი წინანდალის საბჭოთა მეურნეობას. ფიქრობდი კლუბში გამეთა ღამე. ჩოჩქოლი მომესმა. დიდძალი ხალხი მოგროვილიყო.

— კლუბი ჩვენია. მუშები მოვიდენ, კინო უნდა ეჩვენოთ—გაიძახოდა მუშკომის თავმჯდომარე.

— რის კინო, მიჭრეებს თავი გაანებე, ჩვენ კრება გვაქვს, აქედან დაიფერთხები!—ნერვიულობდა 1 ამხანაგოვანი, როზელიც გვარად თავაური იყო. საქმე იქამდე მიდგა, რომ ხელჩარ თული ომი კინალამ ვაჩაღდა. ვაიმარჯვა თავაურმა. უკმაყოფილო მუშენი უკან გაბრუნდნენ.

— მ, კულტურული რევოლუცია მომიწყვეს ახლა,—ჩაიცინა თავისთვის თავაურმა. ჩხუბის თავი არ მქონდა,

ამიტომ კლუბში ღამის გათევს თავი აეარიდე. გაუსწორდი წინანდალის სამეურნეო სკოლას.

— ნუ შეხვალ ძამია, მაქ—მომიძახა ვილაცამ.

— რატომ?

— სკოლის გამგეთ შავსიელი ისაკა რუსიაშვილია და ვშიშობ რაიმე ხიფათი არ შეგეყაროსო!—დამარიგა მან. ისევე განვიგარე გზა. მიუახლოვდი ლაგოდებს.

— თქვენ ბორჯომიდან ხომ არა ხართ?—მოუთმენლად მკითხა სატყეოს თანმშრომელმა.

— რაშია საქმე?

— არაფერი, მე თვით ბორჯომიდან ვარ, ტაბატაძე, ალბად გაგიგონიათ.

— ტაბატაძე? ეს გვარი ტყვიასავით მომხვდა გულში.მართლაც გაგონილი მქონდა, რომ ტაბატაძე ბორჯომის სატყეოს გამგე იყო.

მან კულაკებს 32 ათასი მანეთი მისცა სესხად, რისთვისაც პანლური კრეს მას, მაგრამ პანლური ისეთი „მაგარი“ ყოფილა, რომ ბორჯომის სატყეოდან ლაგოდების სატყეოში შემოუგლიათ ტაბატაძე.

მომშიგვდა. ქვემო მაჩხანის კოოპერატივის სასადილოს როგორც იყო მიველწვიე. შიგ კარგა შესული არც კი ვიყავი, რომ სასადილოს გამგე ყოჩიაშვილმა ტანზე ამხედ-დამხედა. დამიკვირდა. იქვე მჯდომს ვკითხე თუ რა ში იყო საქმე.

— ისე, ამხანაგო, არაფერია. შეგამოწმა, მოჯამაგირე ან ღარიბი გლეხი არ იყოსო, რადგან ასეთი ხალხი ქირით ეჯავრება მას—მიპასუხა მან და კერძოდან ორ არმინიანი თოკი ამოართია.

მეტი დრო აღარ მქონდა. დებრუნელი გურჯაანში.გურჯაანის მეღვინეთა

ამხანაგობას. გაუსწორდი თუ არა, ვილაცამ მომიყვარა:

— უკან დაიხიე, თორემ მოგკლავს, მოგკლავს ამხანაგო. სიცოცხლე მირჩენია სიკვდილს და თავის გლარჩენის მიზნით ისე დავეშვი უკან საღვურისაკენ, რომ მატარებელში თვალის დახანანებამი გავჩდი. ვერ გამოვრკვე-გლლიყავ თუ რაში იყო საქმე. მატარებელში ჩემს თანამგზავებს უამბე. ის მალე მიხვდა თუ ვინეც იყო ლაპარაკი.

— დათა კანტურიძეზე უთქვამს ამხანაგო, ის გურჯაანის მეღვინეთა ამხანაგობაშია ძმა-ბიჭურათ მოწყობილი ვინ არის კანტურიძე?

— ის კულაკების მარჯვენა ხელია. 1927 წელს ძმა-ბიჭებში ქეიფობდა გურჯაანის ბოლოზე. იქვე ახლოს მწყემსი საქონელს მწყემსავდა.—ბიჭი არ ვიქნები ნაშინში თუ არ გავარტყავო, —მოიწონა თავი კანტურიძემ კულაკებთან. ვსროლა მოჯამაგირეს ტყვია და იქვე გააცივა უდანაშაულო მოჯამაგირე. მან აქვე მენშევიკების გვარდის მეთაურობის დროს უდანაშაულოდ მოკლა მშრომელი გლეხი შაქრო წიკლაძე. გაფლანგა ბანკის ათასი მანეთი და სხვ.—დაათავა თანამგზავრმა.

თანამგზავრის ლაპარაკში თვალწინ შემისაგან კანტურიძე მეფეთებოდა: „უკან დაიხიე, თუ არა მოგკლავსო“, ეს სიტყვები ხომ მოსვენებას არ მაძლევდენ.

მადლობა გამიჩენს, რომ გადავჩრი— ამ ფიქრებში ვიყავ, რომ მატარებელმა მშობიარე ქალივით დაიკვლა ტვილისის სადგურთან. ცხელი ოფლი სახედან მოვიწმინდე. ერთი უკან მოვიხედე, კანტურიძე თან ხომ არ მომდევს—მეთქი და ბაქანზე მდგარ ხალხში ჩემდა გიცვითე თავი.

ივანიკა.

ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

ბჭოლისის ბრამის უტნოზ კონდუქტორს

აშ. კონდუქტორო!
გასულ წლის 26 დეკემბერს, ნაშუადღევს 3 საათზე სადგურიდან გაველით თქვენი რონოდით № 1. — 214-ით, მოგვეციო სამშაურიანი და გთხოვეთ ორი უბანი. მომეციო ბილეთი სერია 80. № 01894. ხურდ არა ნაქვსო მითხარით. ჟორესის ქუჩაზე მეორედ მოგავინეთ — დაგებრუნებიათ ჩემი შაური, მაგრამ კიდევ არ აღმოვანდათ ხურდა, მიუხედავად იმისა, რომ ბეგრან მოგვით

წერალი ფული და შაურიანებიც; მესამედ გითხარით ვერის ხილზე, მაგრამ არც იქ აღმოვანდათ შაურიანი. ამიტომ ბოლიშ ვიხდი შეწყნებო-სათვის და, თუ შეიძლება, დამიბრუნეთ ჩემი შაური. არ იფიქროთ — სახელი და გვარი არ ვიცოდე თქვენნი. 26 დეკემბერს ნაშუადღევს 2 საათზე მარშრუტი 1. რონოდა 214 —ეს არის ნამდვილი თქვენი სახელი და გვარიც

ცხრაკილა.

წიგნების კუთხე

I ს. შანშიაშვილი პოემა სატრფოზე (პაროდია)

შენ არ გავხარ სხვა ქალბს,
მომავონებ შორეულს,
კეკლუცობ, რომ ჩაიცემ
ფარჩა - აბრეშუმეულს.
ბროლის მკერდი გისდება
ვნება გადმორხეული,
მითხარ, ქალო, სიდან ხარ
ლიტრწად გადმოქნეული.

თმები რომ შეიკრიბე,
საარშიყო ცდებია,
მაგ თვალეში კოცნები
ნაპერწყლებათ წყდებთან.
სიტურფით ყველას სჯობს.
როგორც ნამდილს—არა
მინდა მოგიფეშქაშო
ერთი ფუთი კარაქი.
მანიკიურს იკეთებ
გისდება მოკლე კაბა,
ხოსობი ხარ, თუ მტრედი
ან თუ გაჩნდი კაკაბათ.

კრაზანა.

უკატრონო ქურჩა ჭუთაინი



ჩემს ქურჩაზე მივდიოდი ფანრით ხელში, მე ნელა,
მაგრამ გავლა მაინც მეთაღ გამიჭირდა, მიძინელა
ფვით ჯოჯოხეთ - უფსკრულშიაც აღზადა ასე არ ბნელა.

II სიგამა და სიხაფავილი

არც სოლომონ ზურგიელიძე არც ლევა-
რსი როსროხაძე, და არც სხვა მეცნიერები,
არაფერს გვეუბნებიან — ვინ რა ასაკში
ბერდება.

მაგალითად პოეტების დაბერების ასაკი
ჯერ გამოკვლეული არ არის. ძველი მეც-
ნიერება, თვის გათვთერებას დაბერების ნი-
შნად რაცხავდა. ახლა, ბავშვებსაც კი უთფ-
თრდებთ თმა.

ახალ მეცნიერებაში ის აზრი ვითარდება,
რომ როდესაც ადამიანში მოცდდება ბრძო-
ლის უნარი და ხალისი, ის დაბერებულთა
ბანაკში უნდა ჩაირიცხოსო.

ამ საზოგადოებაში თუ მიუღებთ გრიშაშვილს,
ის აშკარად დაბერებულთა ბანაკში უნდა
მოეპოქიოთ, რადგან:

არ მიყვარს სისხლი, ომი, ბრძოლები
მიყვარს ყოველი ჩაგრუენებული,
და თქვენც ხარფით არ გერჩოლებით
წიფელი ფერით გაფიქებული;

დაბერებულთა ნიშანს უკეთ იჩენს ალ
აბაშვილი:

მაგრამ ეს ვიცი, რომ ძველებურად
ხმალს ვერ ავიღებ ბრძოლისთვის ხელთა.
და აღარა მაქვს ბრძოლის უნარი.

აქედან გამომდინარეობს, მრავალი პრაქ-
ტიკული ღონისძიებანი:

1. დაბერებულთათვის პენსიის შემოღე-
ბა, 2. მათი ახალი დაჯგუფების შექმნა, 3.
დაბერებულ პოეტთა კოლონიის დაარსება,
4. და შემის გაძლიერებული რაციონით მი-
ცემა, ვინაიდან მოხუცებულთა სხეული
მეტს სითბოს საჭიროებს.

ახალგაზრდა.

III

ფვინ დვალი.

გარდაცვალების ლიკვიდაცია
გარდაცვლის ლიკვიდაცია
ადვილი მოხახუნია,
მოკლედ ვადაჭრის ამ საკითხს
ჩემი ნიჭი და გენია.

სტიქიონი

მ. უზნაძე.

ორი ფიქრი

ორი ფიქრი მაქვს, ეს ორი ფიქრი
ორივე ერთად მებადებთან,
ლექსებზე ფიქრი და აფთიაქზე
ერთი მეორეს ეომებთან.
საველ აბულაძე.

ჩრდილიანი მზა

ახირებულნი სურამილი

...მაგრამ მეც მხურს, მაგრამ შენც გსურს,
მაგ თაფლის მკერდს გავკრა ფრთები.
შრეშვით შეგაწებები
ფრიდერიკ, ნუ დამიფრთხები.

პაულ აკოზია.

კოშმა ძვბათი - ძვბინა

იალბუზს გადაბარუნებს
ჩემი მახვილი ენაო,
ლექსებს ბუირივით მოგაყრიო.
როგორ გვინია შენაო?.

ჩენა.

კაკლის ნკრზა

ვიკორინოთ სკილად, ვიგასაუკრებთ წყვილად

— მიშველე, მატრონე, დამიჯერე, წამომყევი „ზაქში“ ერწამა!
 — გაღირე? რა მინდა ზაქში!
 — ხელი მოვაწეროთ!
 — გიფი ხომ არ ხარ? ორივე უსამსახუროთ ვართ, უკაპეიკათ. ორივეს კუჭი გვიხსება და რად გინდა ჩემი აკიდება?
 — აკიდება კი არა, ვიშოვით სამსახურს.
 — როგორ იშოვი, ზაქში რა შუაშია?
 — იმ შუაშია, რომ მასწავლებლობის გარდა, სხვა სამსახურიზა ჩვენ არ ვარგევართ. მასწავლებლად რომ დავინიშნოთ კი, საჭიროა დეკორწინდეთ და შემდეგ წყვილად გამოვიუგვიმებით ორივე ერთ რომელიმე სკოლაში.
 — არ მეგერა. მეტუმრები. სხვა ვერაფერი იშოვე სასაცილო?
 — ა, ბატონო გაზეთი, თუ არ გვერა (უკითხავს „მუშას“):—



„ტაბილი ოჯახში“
 სკოლებში ცოლ-ქმრის სამსახური ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული. ერწოს რაიონში (თბილისი ოლქი), სოფ. დღუღეღვის სკოლაში

მსახურობს ცოლ-ქმარი ქიხტურები. სოფ. ბორანაში სკოლის გამგეთ არის ლაზარე ნიკოლაიშვილი, მასწავლებლად მისი ცოლი. სოფ. ნაქალაქარში სკოლას განაგებს გოგბერიძე, რომლის ცოლიც იმავე სკოლის მასწავლებელია. ასეთი „ტიპილი ოჯახები“ სხვა სოფლების სკოლებშიაც.

შეკუთრებს, როგორც შოშია და გულში ფიჭობს:
 „რა ვუყოთ:
 „ახალგაზღვრი ხოშია!“.

ნიკოლოზის კანონით

დაშნაკელების ყოფილმა მინისტრმა არუთინოვმა, რომელიც რამდენიმე ადგილას მსახურობს საბჭოთა დაწესებულებებში ორისკონსულტად, განაცხადა, რომ მან მინისტრის პორტფელი მიიღო სოხეთის ერის ინტერესების დასაცავად და სამართალს აწარმოებდა ნიკოლოზის კანონით.

„აბ. პრ.“



კაცე! კაცე!
 ნიკოლოზო,
 რა უდროოდ წახდი;
 ვერაგულად
 გამოგტაცეს
 გვირგვინი და ტახტი:
 შენი ძველი
 „ზაკონები“
 მინათებდა ცაზე,
 კვლავ მუხლს ვიდრეც
 მის წინაშე
 და ვლოცულობ მაზე.

მკლავაძე „პედაგოგი“

გურიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელი მგალობლიშვილი ხოფ. გორა-ბერეულოში გამართულ სილაშხე (იმავე ტექნიკუმში) ღვინით გაიღვმა. როდესაც მას მოთხოვეს ანგარიშის გასწორება, მან ფულის მიცემაზე უარი განაცხადა და პირიქით სცემა საღამოს ხელმძღვანელს.
 მეორე ოდეს გავეთილებზე არ გამოცხადებულა.
 ის სკოლაში ავრცელებს ანტი-საბჭოთა იდეოლოგიას.
 სკოლის გამგე სიმონ ქარცივაძე მის საქციელს ხნის „ახალგაზღვრი უნიანობით“.
 „გან. მუშ.“.

გამოჩენია მკლავაძე ბერეულოუსა გორახა, — მგალობლიშვილის ნაცემი სკოლის ეზოში გორავსა. მასწავლებელი „ნაცქნაფი“ მუშტი-კრიგს აჩენს მთვრალია, გამგე ღიღინებს — სიშონი: „ახალგაზღვრების ბრალია“. „პედაგოგიგან“ გაღახულს ცხვირში გამოდის ძმარია, ვერ აშველებენ მოჩუბრებს ეფისტინე და მარიამ. გამგე კი პირ დაფჩენილი

მ მ ს ს რ შ შ ი

ტკვიანი კაცია

თბილისის ორთქლმავლის საყუდი ღებულობს და ხარჯავს თანხებს ორთქლმავლების ელექტრობოივადების შესანახად.. მოუხედავად ამისა, ორთქლმავლების უპირავლესობა ჯერ კიდევ არ აის ელექტროფიკაცია... ილი.
 საყუდის უფროსი — (როგორც სნანს),
 ტკვიანი კაცია:
 ცხადია, — არ არის მუდამ სახეირო ელექტროფიკაცია.

ელექტრონის შუქი სარგებლის მეტირად ხანდახან კაცს ვაჩენებს, რადგან ფარულ ცოდებებს და ჩვენს ბნელ საქმეებს ის ხშირად ამეღაენებს.
 —
 როცა ფულს არ ხარჯავ, დანიშნულებისამებრ, — ეს საქმეც ბნელია, — და ხშირად ებმები მუშკორის მახეში, — ვით კულა-მელია.

ცილი დასწამეს

— აბა რას ჰვავს, ამხანაგო ყლაბაძე, თქვენი საქციელი? სამსახურში მთვრალი მოდიხარო, ხან კი სრულეობით არ ცხადდებით და მთელი დღე სხადვასხვა სამიკიტნობებში დაბრძანდებით. ასე ატარებთ სოციალისტურ შეჯიბრებას?!
 — ციიი-ლის წამებაა... სხვადასხვაში კი არა, სულ ერთ სამიკიტნოში ვზივარ დილიდან საღამომდე.

ანკეტა

გვარი, სახელი და მამის სახელი.

ფსევდონიმი.

პროფესია.

წლოვანება.


რა და რა ორგანიზაციის წევრი ხართ (კომპარტია, კომკავშირი, პროფკავშირი, კოლექტივი და სხვა).

რამდენი ხანია თანამშრომლობთ ჩვენს ჟურნალში?

თქვენი სწორი მისამართი

და სხვა და სხვა ცნობები.

თანამშრომლობას ვსთხოვთ ეს ანკეტა შემავსონ და გამოგვიგზავსონ ჩედაქციაში.



გამშრიანს (სოფ. გორი ქუთაისის ოლქი): — თუ თქვენ მართლა გამშრიანი ხართ, მიხვდებით, რომ თქვენი ლექსი არ დაბეჭდება, მიუხედავად იმისა, რომ შიგ ასეთი მარგალიტებია:

გომის თემის სასადილო
კარგი არის, უფუნიაო;
მხოლოდ ერთი ისადილო,
მოგეშლება პრუჟინაო.

არკაროპას (ასკანა, ოზ. მაზრა): — დაგვიანებულნი ამბავია, თანაც შაბლონი. მოგეწოდეთ ცნობები ადგილობრივ ცხოვრებიდან.

მინ. ვილ-ს წერილმანიია; არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს.

ბნ-ელს (ქ. ქუთაისი). წერის უნარი გაქვთ. სწერეთ თანამედროვე ყოფა-ცხოვრებაზე.

კომპალს (აქვე): როგორც ამ წერილიდან სჩანს, თქვენ კბილზე უფრო თავი გტკივებით.

გი-ლს (მცხეთა): — თქვენს ლექსში მხოლოდ ეს სტრიქონებია ყველაზე უკეთესი:

ვანო ამბობს: ხარკისა,
ღვინო გაქვსო კარგისა.
შეგეპამე ღობიო,
რომ გაქვს ერთი გობიო.

„ვაუკაცი“ თქვენ ყოფილხართ, თუ ერთი გობ ლობიოს შესებათ. „ასეთი ვაუკაცი“ რატომ (ყოებით ლექსის წერაზე)?

ვამშნიანს (ბორჯომი): — რა საჭიროა ასეთი შიკბულ — მოკბული აზრი და ქათინაურებით ლაპარაკი? სთქვით აშკარათ, რის თქმაც გინდათ, რომ:

ჩიტაძე მუშებს უყვარის,
აუწევია ცხვირია.
გონს მოსაყვანად, ტარტაროზ,
შენი ჩანვალი სპირია.

ვინ არის ეს ჩიტაძე? რა კაცია? საღ მსახურობს? წერილი ყოველმხრივ გასაგები უნდა იყოს.

ბურთაშის-პირელს (ხამტრედია): — ასეთი ლექსით ვერ გამოადიდებთ აღმასკომის თავმჯდომარეს, რომ მან ბოგირი გააკეთოს.

გურულს: — მარტო სურვილი არ კმარა.

ამ წერილის მოძღვნით მე მსურს
შენთან ძმობის დამყარება...

ამ წერილით (და ასეთებით) ვერ მიაღწევთ მიზანს.

რატს: — სწორედ შესაფერისი სათაური აქვს თქვენ: „აფრინეს აღაღიო, რაც არ არის, არ არიო“

შეშს (აქვე): — გეწერთ: გაგვაგზავნეს სოფლად წერა-კითხვის უცოდინარობის ხალიკვიდაციოთ“-ო.

წარმოდგენილი გვაქვს, როგორ კარგად ჩაატარებდით ამ კამპანიას. ის არ გერჩიენათ—ჯერ თავისი „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია“ მოგეხდინათ.

ალბად, ასეთი შემთხვევისათვის აქვს ხალხს ნათქვამი: „უვაფს რა შქონდა, ბუს გაქონდა“-ო.

კუკურა გორღელს (ქობულეთი, ხანატორიუმი). — მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ლექსი ძალზე სუსტია, ჩვენ მას დაგებუდავდით, მაგრამ სიდიდის გამო თქვენი სანატორიუმის მუსვეურნი კი არა, მგონი თქვენც არ წაიკითხავდით. ამიტომ მხოლოდ ამონაწერს ვათავსებთ:

შერცხვეს ყველგან ასეთი
ხანატორიუმიო...
ხორცი, მარა რა ხორცი —
უხარშავი.. უშია!

ნარზანს (აქვე). შე კაი კაცო, პირველად იწყებთ ტარტაროზკობობას და, რა მინცდამინც თქვენი ცხვირის გარდა სხვა ვერაფერი ნახეთ, რაზედაც დაგეწერთ!

წერილიც თქვენს ცხვირსავით გრძელი და ღლია.

მეორე წერილში („აბრამის ბატკანი“) სწერთ: „ძნელია სტუდენტობა — უნდა დაალო ხახა და ელოდვ ლექსის შიგ ჩავარდნას“.

(ხამთარში რა მოგახსენოთ, — ზაფხულში კი ბევრი ბუზი ჩაცვივა შიგ). სწორედ ასევე აქვს ასეთი წერილებსათვის ჩვენს გოდორსაც პირი დაღებულო.

სინამდვილე



მაგრამ დაემსხვრათ იმედი და ჩაეფუშათ გეგმები, საბჭოთა საკავშიროში სიმტკიცე უფრო გარკინდა
 ფონს ვერ გავიდენ სიყალბის შემხანხვლელ-შემოთხნელები. ყალბ ჩერვონცებს მკრელები, სულ თავდაყირა დაკიდა.

რედაქ. სარედაქ. კოლეგია. გავ „მუშა“-ს გამომცემა. საქ. პ-ტ. მე-5 სტამბა მთავლიბი № 1819.